ხელშეკრულება №22/11/1

მომსახურების შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 ნოემბერი 2013წელი

საქართველოს კანონის `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით,,(CPV 34300000; 34351100)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის თავმჯდომარის მოადგილე დავით კირთაძის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს ,,იბერია ტექ ავტომოტივი 1'' წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლაშა მიგინეიშვილის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი'', ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს ცესკოს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დანართით გათვალისწინებული საბურავების კომპლექტის მიწოდებას თანმხლები მომსახურებით (საბურავების აწყობა, ბალანსირება, დემონტაჟი-მონტაჟი), შემდგომში ,,საქონელი'', ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი ,,საქონელი'' და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.,,საქონელის'' ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 11 080,00(თერთმეტი ათას ოთხმოცი) ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ,,საქონელი'' მიღება-ჩაბარება

3.1 ,,საქონელი''ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ მხარეთა წარმომადგენლები.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებულ ,,საქონელი''.

3.4. ,,საქონელი'' ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მოსახურების წუნდების მიზეზის მითითებით.

4. ,,საქონელი'' მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი აძლევა გარანტიას, რომ ,,საქონელი'' მიწოდებას განახორციელებს სრულყოფილად.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული ,,საქონელი'' შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად ,,საქონელი'' შესრულების შემდეგ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის მიხედვით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურების ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული ,,საქონელი'' ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ ,,საქონელი'' მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს ,,საქონელი'' კონტროლს ახორციელებს შ. ბოკუჩავა.

12.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

- გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
- განახორციელოს კონტროლი მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურების ხელშეკრულების მოთხოვნებს.
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების მიღება.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5. ხელის მომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების შეკვეცით შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრამდე.

15.2 ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16.1 მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შპს „იბერია ტექ ავტომოტივი 1"**
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ	ქ. თბილისი,დ. აღმაშენებლის ქ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509	საიდ. კოდი 236093473
ტელ: 2 510051	ტელ: 577 22 88 06
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. საქარტველოს ბანკი BAGAGE22
ანგ №200122900; კოდი: 220101222	ა/ა GE29BG0000000153512100
დავით კირთაძე	**ლაშა მიგინეიშვილი**
თავმჯდომარის მოადგილე	**დირექტორი**

დანართი

	საქონლის დასახელება	CPV კოდი 34300000	რაოდენობა	ერთ.ფასი	თანხა ლარი
1	205/55 16 91 H TL Barum Polaris 3	34351100	4 ცალი	200.00	800.00
2	225/45 R 17 91 H TL FR Barum Polaris 2	34351100	16 ცალი	320.00	5120.00
3	235/60 18 XL FR Barum Polaris 3 4x4	34351100	4 ცალი	370.00	1480.00
4	215/65 R 16 98 TL Barum Polaris 3 4x4	34351100	16 ცალი	230.00	3680.00
სულ					11080.00

„შემსყიდველი"

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო

კომისია

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851509
ტელ: 2 510051
სახელმწიფო ხაზინა
ანგ №200122900; კოდი: 220101222

დავით კირთაძე

თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი"

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი 1"

ქ. თბილისი,დ. აღმაშენებლის ქ.
საიდ. კოდი 236093473
ტელ: 577 22 88 06
ს.ს. საქარტველოს ბანკი BAGAGE22
ა/ა GE29BG0000000153512100

ლაშა მიგინეიშვილი

დირექტორი